



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 249/ს  
06/06/2023

249-21-4-202306061202



**მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ. ნატახტრის მიმდებარედ, წელიწადში 175 000 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ. ნატახტრის მიმდებარედ, 175 000 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი (ერთი ჭაბურღილი) მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის, ტერიტორიაზე, სოფ. ნატახტრის მიმდებარედ, ზღვის დონიდან 522 მეტრ სიმაღლეზე. წიაღისეულობის ობიექტის ფართობია 0,07 ჰა, ხოლო GPS კოორდინატები: X-476346.3, Y-4642144.913. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 210 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული ჭაბურღილიდან წელიწადში 175 000 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 5 წელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ჰიდროლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, წიაღისეულობის ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალოური და ნაპრალოურ-კარსტული წყლების ქართლის არტეზიული აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის მუხრანის არტეზიულ აუზს. წყალშემცველი ჰორიზონტი წარმოადგენს დაუნაწევრებელი მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველ კომპლექსს, სადაც წყალშემცველებად ითვლება კაჭარ-კენჭნარები, კენჭნარები - ქვიშნარის და თიხნარ-ქვიშნარის შემავსებლით, ქვიშები, იშვიათად თიხნარები, ხოლო შედარებით წყალგაუმტარია კაჭარ-კენჭნარი თიხის შემავსებლით და თიხები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, მდ. არაგვის აუზში.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის ეტაპზე გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია შესწავლილია დეტალური დაძიების სტადიაზე. არსებული ჭაბურღილის სავარაუდო სიღრმე შეადგენს 120 მეტრს. სალიცენზიო ობიექტის ზუსტი დებიტი უცნობია, თუმცა, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, არსებული ჭაბურღილიდან წელიწადში 175 000 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია. წიაღითსარგებლობის ობიექტის საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და იგი წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სამეწარმეო დანიშნულებით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ქიმიური შედგენილობით მიწისქვეშა მტკნარი წყლები ჰიდროკარბონატული, ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმიან-ნატრიუმიანი და იშვიათად, კალციუმიან-მაგნიუმიანი ტიპისაა, ქლორის უმნიშვნელო შემცველობით. მიწისქვეშა მტკნარი წყლების საერთო მინერალიზაცია მერყეობს 0.2-დან 0.5 გ/ლ-მდე, ცვალებადი კარბონატული სიხისტით, ხოლო ტემპერატურა შეადგენს 9-15<sup>0</sup>C-ს. მიწისქვეშა მტკნარი წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ჭაბურღილის თავმორთულობა მოწყობილი და მოწესრიგებულია, რაც შენარჩუნდება ექსპლუატაციის განმავლობაში. წიაღითსარგებლობის ობიექტი წარმოადგენს არსებულ ჭაბურღილებს და დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სალიცენზიო ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ამასთან, ვინაიდან, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება დაგეგმილია არსებული ჭაბურღილებიდან, საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან და გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და მცენარეულ საფარზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჭაბურღილიდან მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ, ასევე, კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების


ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ. ნატახტრის მიმდებარედ, წელიწადში 175 000 მ<sup>3</sup> მოცულობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

